პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (126) 30 იანვარი 1961 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

## სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

30. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ი. გ. პეტროვსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

31. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ყამბულათ კიწუს ძე თარჩოკოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.

32. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ამხ. გ. გ. პენკოვის, რ. თ. მახმუდოვის, მ. ნ. მაკეევის და ვ. ი. სავჩენკოს მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.

33. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ" სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების, სასამართლო წყობილების თაობაზე კანონმდებლობის საფუძვლების, სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების, სამხედრო ტრიბუნალების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე საკანონმდებლო აქტების ცვლილებებისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

34. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 27 სექტემბრის დადგენილების „საბჭოების მოწყობის შესახებ საბჭოთა მეურნეობათა იმ მსხვილ მუშურ დასახლებულ ადგილებში, რომლებიც დაშორებულია სოფლის საბჭოებიდან არანაკლებ 8 კილომეტრისა" ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

35. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა განსაკუთრებით საშიში რეციდივისტთა მიმართ სასჯელის ზომის შემსუბუქების არ გამოყენების შესახებ, რაც ხდება რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით.

36. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილების „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ რუსეთის სფს რესპუბლიკის, უზბეკეთის სს რესპუბლიკის და ყაზახეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიებზე ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

37. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელორუსიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

38. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

39. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის სსრ სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდელო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

40. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელორუსიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

41. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ.

42. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ა. ვ. საფრონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

43. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ი. გ. ერენბურგის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ცნობა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ.

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

### განყოფილება პირველი

44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ.

45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ხაშურის რაიონში ზოგიერთი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილებების შესახებ.

46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების შესახებ.

47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საგარეჯოს რაიონის სოფელ საგარეჯოს დაბად გარდაქმნის შესახებ.

48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის დაბად გარდაქმნის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 68-ე მუხლისა და 69-ე მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ.

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელიც სასამართლოს განაჩენით კონფისკაციას არ ექვემდებარება.

## განყოფილება მეორე

51. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

52. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ.

53. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დოკუმენტაციის ფორმების შესახებ.

54. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშების შესახებ.

55. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიების მრგვალი ბეჭდებისა და ხმის მიცემის საარჩევნო ყუთების ნიმუშის შესახებ.

## განყოფილება მესამე

საინფორმაციო ცნობა.

# სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 30 მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აკადემიკოს ი. გ. პეტროვსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მათემატიკის განვითარებასა და სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში დიდი დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ივანე გიორგის ძე პეტროვსკი დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 17 იანვარი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 31 ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ყამბულათ კიწუს ძე თარჩოკოვისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

მრავალი წლის განმავლობაში სიმინდის მარცვლის უხვი მოსავლის მიღებისათვის, სიმინდის მაღალხარისხოვანი ჰიბრიდული თესლის მოყვანისათვის, საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში შესანიშნავი წარმატებებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების ამოცანის გადაჭრაში დიდი წვლილისათვის მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“ ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ ლესკენის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ყამბულათ კიწუს ძე თარჩოკოვს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 17 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 32 ამხ. ამხ. გ. გ. პენკოვის, რ. თ. მახმუდოვის, მ. ნ. მაკეევის და ვ. ი. სავჩენკოს მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავათ თავგანწირული მოქმედებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

მედლით „მამაცობისათვის"

1. გიორგი გიორგის ძე პენკოვი.
2. რაშითხან თაჯიმახმუდის ძე მახმუდოვი.
3. მაქსიმე ნურთაზის ძე მაკეევი.
4. ვლადიმერ ივანეს ძე სავჩენკო.

*სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.*

*სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.*

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 18 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 33 შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ", სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების, სასამართლო წყობილების თაობაზე კანონმდებლობის საფუძვლების, სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების, სამხედრო ტრიბუნალების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე საკანონმდებლო აქტების ცვლილებებისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ", სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ", „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების თაობაზე კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ", „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამარ-

თალწარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“, „სამხედრო ტრიბუნალე-ბის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ და „სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებანი:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 19 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებულ სსრ კავშირის საბაჟო კოდექსში (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 1, მუხლი 2):

ა) 168 მუხლის მეოთხე აბზაციდან (სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების რედაქციით — სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 53, მუხლი 553, პუნქტი 3) და 170 მუხლის პირველ და მეორე აბზაციდან (სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 24 ივლისის დადგენილების რედაქციით — სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 48, მუხლი 429) ამოღებულ იქნას სიტყვა „გაცდენა“;

ბ) 178 მუხლის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია დაჯარიმებასთან და კონტრაბანდის საგანთა და გადასატან საშუალებათა კონფისკაციასთან, გადაწყვეტს იმ საბაჟოს მმართველი, რომელშიც მოიტანეს დაკავებული საგნები“;

გ) დაემატოს საბაჟო კოდექსს $185^1$ მუხლი შემდეგი შინაარსით:

„$185^1$. კონტრაბანდა, ესე იგი საქონლის ან სხვა ფასეულობის სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გატანა და შემოტანა, საქონლის სპეციალურ საცავში დამალვით, ან საბაჟო ან სხვა დოკუმენტების მოტყუებით გამოყენებით, ან დიდი ოდენობით, ან იმ პირთა ჯგუფის მიერ, რომლებიც დაირაზმენ საკონტრაბანდო საქმიანობისათვის, ან თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, აგრეთვე ფეთქებადი, ნარკოტიკული, ძლიერმოქმედი და მომწამლავი ნივთიერებათა იარაღის და სამხედრო აღჭურვილობის კონტრაბანდა ისჯება სისხლის სამართლის წესით“.

2. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 13 ოქტომბრის დადგენილების „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების დისციპლინური კანონმდებლობის საფუძვლების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 71, მუხლი 670) შესავალ ნაწილიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „1924 წლის 29 ოქტომბრის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო მოწყობის საფუძვლების 23 მუხლის განსავითარებლად (სსრ კავშირის კან. კრ., 1924 წელი, № 23, მუხლი 203)“.

3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 23 აპრილის დადგენილებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 23, მუხლი 253) სამოქმედოდ შემოღებულ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა და მათი ოჯახებისათვის შეღავათების კოდექსში:

ა) 4 მუხლის მეორე აბზაციდან და 5 მუხლის მეორე აბზაციდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „ასევე“, „პოლიტიკური უფლებების ჩამორთმევა“ და „სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით“;

ბ) 4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცები:

„სამხედრო მოსამსახურეებს, მსჯავრდებულთ დისციპლინურ ბატალიონების განწესებით, და მათი ოჯახის წევრებს შეღავათებზე უფლება ერთმევათ განაჩენის სისრულეში მოყვანის მომენტიდან სამხედრო მოსამსახურის დისციპლინური ბატალიონიდან განთავისუფლებამდე.

ასეთი სამხედრო მოსამსახურის სიკვდილის შემთხვევაში მისი ოჯახი ისარგებლებს გარდაცვლილ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების უფლებით".

4. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის 1934 წლის 27 თებერვლის დადგენილების „სანებაყოფლო საზოგადოების მუშაობის შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1934 წელი, № 13, მუხლი 89) 5 მუხლში სიტყვები: „სისხლის სამართალში სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების მიხედვით" შეიცვალოს სიტყვებით: „პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით".

5. სსრ კავშირის 1939 წლის 1 სექტემბრის კანონში „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1939 წელი, № 32):

ა) 30 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „აგრეთვე ის პირნი, რომლებსაც სასამართლოს მიერ ჩამორთმეული აქვთ საარჩევნო უფლებები";

ბ) 57 მუხლის მეორე აბზაცში სიტყვები: „დებულებით სამხედრო დანაშაულის შესახებ" შეიცვალოს სიტყვებით: „კანონით სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ".

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულების „ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1942 წელი, № 13) 14 მუხლის მესამე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაჯარიმება ეკისრებათ რაიონის (ქალაქის) საფინანსო განყოფილებათა გამგეებს".

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 აპრილის ბრძანებულებიდან „მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 17):

ა) 34 მუხლიდან ამოღებულ იქნას სიტყვები: „დეკლარაციაში შეგნებულად ცრუ მონაცემების ჩვენება გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას";

ბ) 35 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„35. ამ ბრძანებულების დარღვევისათვის დაჯარიმება ეკისრებათ რაიონის (ქალაქის) საფინანსო განყოფილებათა გამგეებს".

II. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საკანონმდებლო აქტები თანახმად დანართისა.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 19 იანვრის ბრძანებულებისა „შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“, სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების, სასამართლო წყობილების თაობაზე კანონმდებლობის საფუძვლების, სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების, სამხედრო ტრიბუნალების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა სახელმწიფო და სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე საკანონმდებლო აქტების ცვლილებებისა და ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

## ნუსხა

### საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს ძალა

1. სსრ კავშირის ცაკის 1923 წლის 12 ნოემბრის დადგენილება „დებულება სსრ კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის, სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოამბე, 1923 წელი, № 10, მუხლი 310) ცვლილებებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1924 წელი, № 25, მუხლი 208).
2. 23 მუხლი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1924 წლის 22 თებერვლის დადგენილებისა „საბჭოთა ნიმუშის ვერცხლისა და სპილენძის ფულის მოჭრისა და სახმარებლად გამოშვების შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის, სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოამბე, 1924 წელი, № 3, მუხლი 61).
3. 18 მუხლი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1924 წლის 22 თებერვლის დადგენილებისა „ავტო-ტრანსპორტის სამხედრო ბეგარის შესახებ“ (სსრ კავშირის ცაკის, სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს მოამბე, 1924 წელი, № 3, მუხლი 62).
4. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1924 წლის 1 აგვისტოს დადგენილება „სათამაშო ბანქოს წარმოებაზე სახელმწიფო მონოპოლიის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1924 წელი, № 4, მუხლი 51).
5. 1 მუხლის „ბ“ და „უ“ პუნქტები სსრ კავშირის ცაკის 1924 წლის 24 ოქტომბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ სესიათა შვალედის შორის მიღებულ ზოგადი ხასიათის დადგენილებათა დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1924 წელი, მუხლი 183).

6. 55—57 პუნქტები სსრ კავშირის ცაკის 1927 წლის 17 თებერვლის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შორის მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-18 მუხ. ძალით დამტკიცებულ უნდა იქნენ მე-3 მოწვევის სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1927 წელი, № 12, მუხლი 128).

7. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 4 მაისის დადგენილება „მუშურ-გლეხური ინსპექციის უფლებათა გაფართოების შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1927 წელი, № 22, მუხლი 247).

8. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1927 წლის 9 იანვრის დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის სამთო დებულების 134 მუხლი (სსრ კავშირის კან. კრ., 1927 წელი, № 68, მუხლი 688).

9. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 8 თებერვლის დადგენილება „საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა შესახებ დებულების სამოქმედოთ შემოღებისათვის" და ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულება საურთიერთო კრედიტის საზოგადოებების შესახებ (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 11, მუხლები 93, 94), დამატებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 19, მუხლი 156).

10. I განყოფილების 4 პუნქტი სსრ კავშირის ცაკის 1928 წლის 19 აპრილის დადგენილებისა „იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სსრ კავშირის მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1 და მე-3 სესიებს შორის პერიოდში და რაც თანახმად სსრ კავშირის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მე-18 მუხლისა, უნდა დამტკიცდეს სსრ კავშირის მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიის მიერ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 24, მუხლი 213).

11. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 25 აპრილის დადგენილება „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წყობილების საფუძვლების მე-13 მუხლის შეცვლის შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 25, მუხლი 216).

12. მე-3 მუხლის „ე" პუნქტი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 16 მაისის დადგენილებისა „საავტორო უფლებათა საფუძვლების ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღებასთან დაკავშირებით" (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 27, მუხლი 245).

13. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 23 მაისის დადგენილება „ინჟინერთა, ტექნიკოსთა, აგრონომების და სახალხო მეურნეობის სხვა სპეციალისტების პერსონალური აღრიცხვის შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 31, მუხლი 275).

14. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 14 ნოემბრის დადგენილება „საურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა სათადარიგო კაპიტალების შენახვის წესის შესახებ" (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 67, მუხლი 608).

15. 41 და 43 პუნქტები სსრ კავშირის ცაკის 1928 წლის 15 დეკემბრის დადგენილებისა „იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც მიღებული იქნა სსრ კავშირის მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 და მე-4 სესიებს შორის პერიოდში და რაც, თანახმად სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლისა, უნდა დამტკიცდეს სსრ კავშირის მე-4 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1928 წელი, № 69, მუხლი 645).

16. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1928 წლის 19 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის საბაჟო კოდექსის (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 1, მუხლი 2) 166 (შემდგომი ცვლილებებით — სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 4, მუხლი 45 166 მუხლის „გ“ პუნქტის რედაქციის შეცვლის ნაწილში; 1931 წელი, № 6, მუხლი 71, პუნქტი 2), 175 მუხლები და 178 მუხლის მესამე აბზაცი“.

17. 75 მუხლი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 8 მაისის დადგენილებისა „ოქროსა და პლატინის მრეწველობის შესახებ და ოქროსა და პლატინის შენახვისა და ბრუნვის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 33, მუხლი 292).

18. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 6 ნოემბრის დადგენილება „საანაბარო ოპერაციების შესახებ იმ სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერატიული ორგანიზაციებისა, რომლებიც მოქმედებენ არა თანახმად დებულებისა კოოპერატიული კრედიტის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 72, მუხლი 682), ცვლილებებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 65, მუხლი 289, პუნქტი 5).

19. 2 მუხლის „ა“ პუნქტი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1929 წლის 6 ნოემბრის დადგენილებისა „ჩეკების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1929 წელი, № 73, მუხლი 696).

20. VII და VIII განყოფილებები სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 13 თებერვლის დადგენილებისა „სოციალური დაზღვევის წესით პენსიისა და დახმარების თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“ და ამ დადგენილებით დამტკიცებული სოციალური დაზღვევის წესით პენსიისა და დახმარების დებულების 43, 53, 54 მუხლები (სსრ კავშირის კან. კრ., 1830 წელი, მუხლები 131, 132).

21. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 28 აპრილის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრომსახურთა და სამხედროვალდებულთა და მათი ოჯახებისათვის შეღავათების კოდექსის 4 მუხლის პირველი და მესამე აბზაცი, 5 მუხლის პირველი და მესამე აბზაცი და 7 მუხლის მეორე აბზაცი (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 23, მუხლი 253).

22. განყოფილება I სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წლის 13 აგვისტოს დადგენილებისა „სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის ახალი რედაქციით სამოქმედოთ შემოღების შესახებ“ და ამ დადგენილებით დამტკიცებული კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის შესახებ (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 40 მუხლები 423, 424)) ცვლილებებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1930 წელი, № 50, მუხლი 331, განყოფილება „ა“; 1932 წელი, № 65, მუხლი 382, პუნქტი 2; 1933 წელი, № 61, მუხლი 363; 1935 წელი, № 7, მუხლი 55, 2 მუხლის „გ“ პუნქტი).

23. 24, 66, 69—71, 73, 74 და 76 პუნქტები სსრ კავშირის ცაკის 1931 წლის 10 იანვრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცაკის სესიებს შუა მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე დამტკიცებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის ცაკის მე-5 მოწვევის მე-3 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 5, მუხლი 65).

24. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 3 აპრილის დადგენილება „მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების შევსების შესახებ ცხენებით, საბარგულე საზიდავებით და შესაბმელობით ცვალებადი შედგენილობის სწავლების დროს“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 22, მუხლი 184).

25. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 3 აგვისტოს დადგენილება „სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის შეცვლის შესახებ იმ ნაწილში, რაც ეხება შეღავათებს ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით და ნამდვილ სამხედრო სამსახურში გასაწვევთა ვარგისობას“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წ. № 48, მუხლი 321).

26. პუნქტი 33 სსრ კავშირის ცაკის 1931 წლის 28 დეკემბრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცაკის სესიებს შუა მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე დამტკიცებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის ცაკის მე-6 მოწვევის მე-2 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 75, მუხლი 504).

27. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წლის 7 ივლისის დადგენილება „სტიპენდიების შესახებ უმაღლესი სასწავლებლების და ტექნიკუმების მოსწავლეთათვის“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1932 წელი, № 54, მუხლი 325).

28. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით დამტკიცებული გადასახადების აკრეფისა და არასაგადასახადო გამოსაღებთა შესახებ დებულების 33 მუხლი (სსრ კავშირის კან. კრ., 1932 წელი, № 69, მუხლი 410 ბ).

29. პუნქტი 48 სსრ კავშირის ცაკის 1933 წლის 30 იანვრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მიღებული იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რაც სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე დამტკიცებული უნდა იქნეს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1933 წელი, № 6, მუხლი 42).

30. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1933 წლის 17 ოქტომბრის დადგენილება „სავალდებულო სამხედრო სამსახურის თაობაზე კანონის შეცვლის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1933 წელი, № 63, მუხლი 379).

31. პუნქტები 3, 4, 33 და 34 სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 4 იანვრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლის საფუძველზე დამტკიცებული უნდა იქნეს სსრ კავშირის მე-6 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1934 წელი, № 2, მუხლი 17).

32. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1934 წლის 27 მაისის დადგენილება „სსრ კავშირის წყლის ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინის წესდების დამტკიცების შესახებ“ და ამ დადგენილებით დამტკიცებული წესდება სსრკ წყლის ტრანსპორტის მუშათა და მოსამსახურეთა დისციპლინის შესახებ (სსრ კავშირის კან. კრ., 1934 წელი, № 29, მუხლები 222 ა, 222 ბ).

33. სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 10 ივლისის დადგენილება „შინაგან საქმეთა საერთო საკავშირო სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1934 წელი, № 36, მუხლი 283).

34. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 7 აპრილის დადგენილება „წესდება სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მუშაკთა დისციპლინის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 20, მუხლი 163).

35. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 მაისის დადგენილება „სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახანძრო დაცვის მთავარი სამმართველოს ორგანოებისათვის უფლების მიცემის შესახებ აწარმოონ გამოძიება ხანძრის საქმეებსა და ხანძრის საწინააღმდეგო წესების დარღვევის საქმეებზე“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 28, მუხლი 222).

36. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით დამტკიცებული სსრ კავშირის საჰაერო კოდექსის 31 მუხლი (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 43, მუხლი 359 ბ).

37. დებულება მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 22 სექტემბრის დადგენილებით „მუშურ-გლეხური წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობის პერსონალურ სამხედრო სახელწოდებათა შემოღებისა და მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის დებულების დამტკიცების შესა-

ხებ“ და ამ დადგენილების 4 და 5 მუხლები (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 57, მუხლები 468, 469), დამატებებით (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 51, მუხლი 219, განყოფილება II).

38. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოს უფროსთა შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის შესახებ დებულების დამტკიცების შესახებ“ და ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულება სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო უშიშროების მთავარ სამმართველოს უფროსთა შემადგენლობის მიერ სამსახურის გავლის შესახებ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 26, მუხლები 240 ა, 240 ბ).

39. პუნქტები 23, 38, 44—46, 48—50, 52 და 59 სსრ კავშირის ცაკის 1936 წლის 17 იანვრის დადგენილებისა „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა მიღებულ იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის 18 მუხლის საფუძველზე, დამტკიცებულ უნდა იქნეს სსრ კავშირის 7 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 2 სესიის მიერ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 4, მუხლი 36).

40. 14 მუხლი სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 7 აპრილის დადგენილებისა „დებულება სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის და საქალაქო ხანძრის დაცვის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 18, მუხლი 149).

41. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 7 მაისის დადგენილებით დამტკიცებული „სსრ კავშირის ორდენების შესახებ ზოგადი დებულების“ მუხლი 19 (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 24, მუხლი 220 ბ).

42. მუხლი 6 სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 27 ივლისის ბრძანებულებისა „დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის წესისა და ვადის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 44, მუხლი 369).

43. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1936 წლის 11 აგვისტოს დადგენილება „სამხედრო სამსახურში გასაწვევი ასაკის შემცირების შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1936 წელი, № 46, მუხლი 392).

44. პუნქტები 83—85 სსრ კავშირის ცაკის 1937 წლის 13 იანვრის დადგენილებისა „იმ დადგენილებათა დამტკიცების შესახებ, რომლებიც მიღებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიათა შორის პერიოდში და დამტკიცებულ უნდა იქნან სსრ კავშირის 7 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 3 სესიის მიერ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 7, მუხლი 24).

45. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 აგვისტოს დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების შეცვლის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 51, მუხლი 216).

ეროვნული ბიბლიოთეკა

46. 7 მუხლის „ა“ პუნქტი სსრ კავშირის 1938 წლის 19 აგვისტოს კანონისა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქალაქეობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წელი, № 11).
47. 14 მუხლის მეორე აბზაცი და 43 მუხლის „გ“ პუნქტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 10 აპრილის ბრძანებულებისა ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1942 წელი, № 13).
48. 33 მუხლის მეორე აბზაცი და 37 მუხლის „გ“ პუნქტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 30 აპრილის ბრძანებულებისა „მოსახლეობიდან საშემოსავლო გადასახადის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 17).
49. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 24 ივნისის ბრძანებულება „რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის სახაზო სასამართლოების, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის პროკურატურების, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს რკინიგზის კოლეგიისა და წყლის ტრანსპორტის კოლეგიის გაერთიანების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა).
50. 24 მუხლის „გ“ პუნქტი სსრ კავშირის 1953 წლის 8 აგვისტოს კანონისა „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1953 წელი, № 7).
51. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 8 სექტემბრის ბრძანებულება „ამნისტიის შეფარდების აკრძალვის გაუქმების შესახებ იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან დანაშაულისათვის, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1932 წლის 7 და 22 აგვისტოს დადგენილებებით“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა).
52. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 ივლისის ბრძანებულება „პატიმრობის ადგილიდან ვადამდე პირობითი განთავისუფლების შემოღების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა) ცვლილებით, რომელიც შეიტანა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1958 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 ივლისის ბრძანებულების „პატიმრობის ადგილიდან ვადამდე პირობითი განთავისუფლების შემოღების თაობაზე“ 2 მუხლის შეცვლის შესახებ“.
53. სსრ კავშირის 1955 წლის 7 თებერვლის კანონი „განზრახ მკვლელობისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 2).

54. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 31 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს გაუქმების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წელი, № 12) და სსრ კავშირის 1956 წლის 14 ივლისის კანონი „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 22, 29-ბ, 77 და 78 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წელი, № 15) იმ ნაწილში, რომელიც ეხება ამ ბრძანებულების დამტკიცებას.

55. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 3 ივნისის დადგენილება „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს აპარატის სტრუქტურის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა).

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 34 სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 27 სექტემბრის დადგენილების „საბჭოების მოწყობის შესახებ საბჭოთა მეურნეობათა იმ მსხვილ მუშურ დასახლებულ ადგილებში, რომლებიც დაშორებულია სოფლის საბჭოებიდან არა ნაკლებ 8 კილომეტრისა“ ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის ცაკის 1934 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „საბჭოების მოწყობის შესახებ საბჭოთა მეურნეობათა იმ მსხვილ მუშურ დასახლებულ ადგილებში, რომლებიც დაშორებულია სოფლის საბჭოებიდან არა ნაკლებ 8 კილომეტრისა“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1934 წელი, № 56, მუხლი 423).

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 35 განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტთა მიმართ სასჯელის ზომის შემსუბუქების არ გამოყენების შესახებ, რაც ხდება რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნება დაერთოს რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკის 1960 წლის 27 ოქტომბრის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლიდან სასჯელის ზომის შემსუბუქება არ იქნას გამოყენებული იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის პირველი თავის პირველი განყოფილებით გათვალისწინებულ განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის, სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე, თუ განაჩენი ამ პირთა მიმართ ძალაში შევიდა 1961 წლის 1 იანვრამდე, ესე იგი რუსეთის სფს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლამდე.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 იანვარი.

## ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 36 სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილების „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაციას შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ რუსეთის სფს რესპუბლიკის, უზბეკეთის სს რესპუბლიკის და ყაზახეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიებზე ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

რუსეთის სფს რესპუბლიკის, უზბეკეთის სს რესპუბლიკის და ყაზახეთის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ძალადაკარგულად ჩაითვალოს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის, უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიებზე სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 იანვრის დადგენილება „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 4, მუხლი 44).

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**
**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 37 ბელორუსიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961 წლის 1 აპრილიდან, ე. ი. რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 იანვრის დადგენილება „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 4, მუხლი 44);

2. „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების მუხლი 3 (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 45, მუხლი 377);

3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 სექტემბრის დადგენილება „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების შეცვლის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი, № 59, მუხლი 251);

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 9 აპრილის ბრძანებულება „სატვირთო მატარებლებით თვითნებური მგზავრობისათვის და საჭიროების გარეშე გასაჩერებელი ონკანით მატარებლის თვითნებურად გაჩერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 16);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით უკანონო დაჯილდოებისათვის, ორდენების, მედლებისა და სამკერდე ნიშნების მითვისებისათვის და დაჯილდოებულ პირთა მიერ მათი სხვა პირებზე

გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 18);

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

8. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

9. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

10. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულება „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“.

11. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის შახტებში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა).

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

13. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მუხლი 6 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 1);

14. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების მიერ საპატიმროებიდან ვადამდე და ვადამდე პირობით განთავისუფლების თაობაზე საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

15. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 7)

იმ ცვლილებებით, რომელნიც შეტანილია 2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებასა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 17);

16. „მოხეტიალე ბოშების შრომაში ჩაბმის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულების მუხლი 3 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წელი № 21);

17. „სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების თაობაზე" სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონის გამოყენების წესის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 29 მარტის დადგენილების მუხლი 1 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 8) იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსჯადობის განსაზღვრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 38 აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ" და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონებისა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ" და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლების დამტკიცების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1961 წლის 1 მარტიდან, ე. ი. რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1931 წლის 23 იანვრის დადგენილება „პასუხისმგებლობის შესახებ ისეთი დანაშაულისათვის, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს ტრანსპორტის მუშაობაში“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1931 წელი, № 4, მუხლი 44);

2. „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების მუხლი 3 (სსრ კავშირის კან. კრ., 1935 წელი, № 45, მუხლი 377);

3. სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წლის 7 სექტემბრის დადგენილება „სასაზღვრო ზოლებში შესვლისა და ცხოვრების თაობაზე“ სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს 1935 წლის 17 ივლისის დადგენილების შეცვლის შესახებ“ (სსრ კავშირის კან. კრ., 1937 წელი № 59, მუხლი 251);

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 9 აპრილის ბრძანებულება „სატვირთო მატარებლებით თვითნებური მგზავრობისათვის და საჭიროების გარეშე გასაჩერებელი ონკანით მატარებლის თვითნებურად გაჩერებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1941 წელი, № 16);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 2 მაისის ბრძანებულება „სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით და სამკერდე ნიშნებით უკანონო დაჯილდოებისათვის, ორდენების, მედლებისა და სამკერდე ნიშნების მითვისებისათვის და დაჯილდოებულ პირთა მიერ მათი სხვა პირებზე გადაცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1943 წელი, № 18);

6. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

7. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულება „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1947 წელი, № 19);

8. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

9. სსრ კავშირის 1948 წლის 4 თებერვლის კანონი „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცების შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 6);

10. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 7 აპრილის ბრძანებულება „შინ გამოხდილი არყის დამზადებასა და გაყიდვაზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 14);

11. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 4 იანვრის ბრძანებულება „გაუპატიურებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" (გაზეთი „ბაკინსკი რაბოჩი", 1949 წლის 7 იანვარი, № 4);

12. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1953 წლის 14 თებერვლის ბრძანებულება „ქვანახშირისა და ფიქალის შახტებში სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დარღვევისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

13. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 10 იანვრის ბრძანებულება „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

14. „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულების მუხლი 6 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 1);

15. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1955 წლის 21 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების მიერ საპატიმროებიდან ვადამდე და ვადამდე პირობით განთავისუფლების თაობაზე საქმეების განხილვის წესის შესახებ" (სსრ კავშირის კანონთა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა კრებული, 1959 წლის გამოცემა);

16. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულება „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის შესახებ" (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1955 წელი, № 7) იმ ცვლილებებით, რომელნიც შეტანილია 2 მუხლით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებასა „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოებისა, სამხარეო, საოლქო სასამრთლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებასა და „სასამართლოების პრეზიდიუმების მიერ საქმეთა განხილვის წესის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის

25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 17);

ეროვნული ბიბლიოთეკა

17. „მოხეტიალე ბოშების შრომაში ჩაბმის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულების მუხლი 3 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წელი № 21);

18. „სატრანსპორტო სასამართლოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონის გამოყენების წესის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 29 მარტის დადგენილების მუხლი 1 (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 8) იმ ნაწილში, რომელიც ეხება განსჯადობის განსაზღვრას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 39 აზერბაიჯანის სსრ სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონისა „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების თაობაზე კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1948 წელი, № 31) იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას;

2. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო და საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1954 წელი, № 17);

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულება „სამხარეო, საოლქო სასამართლოების უფლებათა გაფართოების და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოებთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროთა სამმართველოების გაუქმების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წელი, № 16);

4. სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონი „სამხარეო, საოლქო სასამართლოების უფლებათა გაფართოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოებთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროთა სამმართველოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 4);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებაში და „სასამართლოთა პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის თაობაზე“ 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წელი, № 17) გარდა ამ ბრძანებულების 2 მუხლისა.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გეორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 იანვარი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 40 ბელორუსიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ 1961 წლის 1 აპრილიდან ძალაში შედიან ბელორუსიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, 1961 წლის 1 აპრილიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1961 წლის 1 აპრილიდან ძალადაკარგულად ცნობილი სსრ კავშირის კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია

ბელორუსიის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოიყვანონ ბელორუსიის სს რესპუბლიკის 1960 წლის 29 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ნება დაერთოს ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს, რომ ბელორუსიის სს რესპუბლიკის 1960 წლის 29 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლიდან სასჯელის ზომის შემსუბუქება არ იქნას გამოყენებული იმ პირთა მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმის, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობის, სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისა და ყაჩაღობისათვის, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებზე, თუ განაჩენი ამ პირთა მიმართ ძალაში შევიდა 1961 წლის 1 აპრილამდე, ესე იგი ბელორუსიის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლამდე.

3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალდებულონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომელთაც გამოიტანეს განაჩენები, საჭირო მონაცემების წარდგენა იმ პირებზე, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან ბელორუსიის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და იხდიან სასჯელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 19 იანვარი.

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 41 აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წარდგენასთან დაკავშირებით და იმის გათვალისწინებით, რომ 1961 წლის 1 მარტიდან ძალაში შედიან აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ახალი კოდექსები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-6 მუხლის თანახმად, 1961 წლის 1 მარტიდან სასამართლოებმა სასჯელის ზომები იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან 1961 წლის 1 მარტიდან ძალადაკარგულად ცნობილი სსრ კავშირის კანონების მიხედვით დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მოიყვანონ აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

1960 წლის 8 დეკემბრის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისობაში, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის უფრო მსუბუქი ზომები.

2. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს დაავალდებულონ მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროები უზრუნველყონ სასამართლოებისათვის, რომელთაც გამოიტანეს განაჩენები, საჭირო მონაცემების წარდგენა იმ პირებზე, რომელნიც მსჯავრდებულნი არიან აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის და იხდიან სასჯელს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 42 მწერალ ა. ვ. საფრონოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების გათვალისწინებით მწერალი ანატოლი ვლადიმერის ძე **საფრონოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 43 მწერალ ი. გ. ერენბურგის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის მწერალი ილია გრიგოლის ძე **ერენბურგი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1961 წლის 25 იანვარი.

## ც ნ ო ბ ა
## სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატის არჩევნების შესახებ

1961 წლის 15 იანვარს კრასნოარმეისკოეს № 518 საარჩევნო ოლქში შედგა კავშირის საბჭოს არჩევნები.

კავშირის საბჭოს დეპუტატად კრასნოარმეისკოეს № 518 საარჩევნო ოლ-ქიდან არჩეულია ამხ. ალექსანდრე პავლეს ძე **ლიაშკო**, უკრაინის კომპარტიის სტალინოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებათა შესახებ

### რსფსრ

**ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოების გაერთიანება**

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 20 იანვრის ბრძანებულებით ქალაქ მოსკოვის ტყე-პარკის საცავ სარტყელში გაერთიანებულია მშრომელთა დეპუტატების შემდეგი საბჭოები:

ა) ბალაშიხის რაიონული და საქალაქო საბჭოები — ერთ ბალაშიხის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოდ;

ბ) ლიუბერცის რაიონული და საქალაქო საბჭოები—ერთ ლიუბერცის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოდ;

გ) მიტიშჩის რაიონული და საქალაქო საბჭოები— ერთ მიტიშჩის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოდ.

**ქალაქ ხიმკის შეტანა კრასნოგორსკის რაიონის შემადგენლობაში**

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 20 იანვრის ბრძანებულებით ქალაქი ხიმკი შეტანილია ქალაქ მოსკოვის ტყე-პარკის საცავი სარტყლის კრასნოგორსკის რაიონის შემადგენლობაში.

* * *

### ყაზახეთის სსრ

**ყამირის მხარის შექმნა**

ყაზახეთის ჩრდილოეთ ოლქებში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი უდიდესი რესურსების უფრო სრულად გამოყენების მიზნით ყაზახეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 26 დეკემბრის ბრძანებულებით ყაზახეთის სს რესპუბლიკის შემადგენლობაში შეიქმნა **ყამირის მხარე**.

ყამირის მხარეში შეტანილია: აკმოლინსკის, კოკჩეტავის, კუსტანაის, პავლოდარის და ჩრდილო-ყაზახეთის ოლქები. ყამირის მხარის ადმინისტრაციულ ცენტრად დადგენილია ქალაქი **აკმოლინსკი**.

ამავე ბრძანებულებით გაუქმებულია აკმოლინსკის ოლქი, მისი რაიონების სამხარეო ორგანოების უშუალო დაქვემდებარებაში გადაცემით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 44 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩატარების შესახებ

იმის გამო, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მეშვიდე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების უფლებამოსილების ვადა გადის 1961 წლის 15 მარტს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1961 წლის 19 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 21 იანვარი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 45 ხაშურის რაიონში ზოგიერთი ადმინისტრაციული ტერიტორიული ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოსახლეობის სხვა ადგილებში დასახლების გამო გაუქმდეს სოფლები: სურამის სადაბო საბჭოში კაკალათხევი, ალის სასოფლო საბჭოში ულუმბა და ჭოშორა, ღუდის სასოფლო საბჭოში ღუდა და ნარუჯები.

2. გადატანილ იქნას ღუდის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ ღუდიდან სოფელ დიდ ხალებში და შემდგომში მას ეწოდოს ხალების სასოფლო საბჭო, რომელსაც დაექვემდებაროს სოფლები: დიდი ხალები, პატარა ხალები, ღვრიაწყალი, ღართა, ალექსანდრესწყარო, ლანძილები და სარტყელა.

3. სოფელ ცხრამუხის კოლმეურნეობის ქვიშხეთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში გაერთიანების გამო, გამოეყოს ცხრამუხის სასოფლო საბჭოს სოფელი ცხრამუხა და მიეკუთვნოს ქვიშხეთის სასოფლო საბჭოს.

4. გადატანილ იქნას ცხრამუხის სასოფლო საბჭოს ცენტრი სოფელ ცხრამუხიდან სოფელ თაგვეთში და ეწოდოს თაგვეთის სასოფლო საბჭო, რომელსაც დაექვემდებაროს სოფლები: თაგვეთი, დამჩხრეულა, კოდისწყარო, რბონა, ქაშვეთი და ყოფილ ღუდის სასოფლო საბჭოს სოფელი ჯვართმუხა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 21 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 46 საქართველოს სს რესპუბლიკის ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება და საქართველოს სსრ ზოგიერთი სასოფლო საბჭოს გამსხვილების მიზნით გაერთიანდეს:

გორის რაიონის ხელთუბნისა და ბერბუკის სასოფლო საბჭოები — ერთ, ბერბუკის სასოფლო საბჭოდ;

გურჯაანის რაიონის მელაანისა და ჩალაუბნის სასოფლო საბჭოები—ერთ, ჩალაუბნის სასოფლო საბჭოდ;

ვანის რაიონის კიროვისა და ფერეთას სასოფლო საბჭოები—ერთ, ფერეთას სასოფლო საბჭოდ;

ორჯონიკიძის რაიონის ზვარის და მოლითის სასოფლო საბჭოები — ერთ, მოლითის სასოფლო საბჭოდ და ხევისა და ხუნევის სასოფლო საბჭოები—ერთ, ხუნევის სასოფლო საბჭოდ;

ქარელის რაიონის იმერხევისა და ზღუდრის სასოფლო საბჭოები—ერთ, ზღუდრის სასოფლო საბჭოდ;

ხაშურის რაიონის ტეზრისა და ქვიშხეთის სასოფლო საბჭოები—ერთ, ქვიშხეთის სასოფლო საბჭოდ;

ქალაქ თბილისის სამგორის რაიონის ჯანდარისა და გარდაბნის სასოფლო საბჭოები — ერთ, გარდაბნის სასოფლო საბჭოდ და ულიანოვკისა და ქესალოს სასოფლო საბჭოები—ერთ, ქესალოს სასოფლო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 21 იანვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 47 საგარეჯოს რაიონის სოფელ საგარეჯოს დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება და გარდაიქმნას საგარეჯოს რაიონის სოფელი საგარეჯო დაბად და საგარეჯოს სასოფლო საბჭო-საგარეჯოს სადაბო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 48 სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშის დაბად გარდაქმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება და გარდაიქმნას სამტრედიის რაიონის სოფელი კულაში დაბად და კულაშის სასოფლო საბჭო—კულაშის სადაბო საბჭოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 49 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 68-ე მუხლისა და 69-ე მუხლის შენიშვნის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეიცვალოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 68-ე მუხლი და 69-ე მუხლის შენიშვნა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. „**მუხლი 68.** ქონება, რომლის მესაკუთრე ცნობილი არ არის (უპატრონო ქონება), გადადის სახელმწიფოს საკუთრებად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული წესისამებრ".

„**69-ე მუხლის შენიშვნა:** მოუვლელობის გამო ქალაქებსა და დაბებში ნაგებობათა მუნიციპალიზაცია მოხდება უსასყიდლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით დადგენილი წესისამებრ".

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაამტკიცოს დებულება „მოუვლელობისა და უპატრონობის გამო ქალაქებსა და დაბებში ნაგებობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ“.

3. ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წლის 26 აპრილის დადგენილება „მოუვლელობის გამო ქალაქ—ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1928 წ., № 7, მუხ. 57).

ბ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 10 დეკემბრის დადგენილება „მოუვლელობის გამო ქალაქ—ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის თაობაზე გამოცემული დადგენილების მოქმედების არასაცხოვრებელ შენობებზე გავრცელების შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ., 1930 წ., № 24, მუხ. 342).

გ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 5 ივნისის დადგენილების „სამოქალაქო სამართლის კოდექსის ზოგიერთი მუხლის რედაქციის შეცვლის შესახებ“ მე-4 პუნქტი (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ., № 14, მუხ. 128).

დ) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1937 წლის 29 ივნისის დადგენილება „მოუვლელობის გამო ქალაქ—ადგილას საცხოვრებელ შენობათა მუნიციპალიზაციის წესის თაობაზე“ გამოცემული დადგენილების მე-7 და მე-8 მუხლების შეცვლის შესახებ. (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ. № 13, მუხ. 85).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 50 იმ ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელიც სასამართლოს განაჩენით კონფისკაციას არ ექვემდებარება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს ნუსხა ქონებისა, რომელიც სასამართლოს განაჩენით კონფისკაციას არ ექვემდებარება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუსხა

## ქონებისა, რომელიც სასამართლოს განაჩენით კონფისკაციას არ ექვემდებარება

კონფისკაციას არ ექვემდებარება ქონების შემდეგი სახეები და საგნები, რომლებიც ეკუთვნიან მსჯავრდებულს პირადი საკუთრების უფლებით ან ითვლება მის წილად საერთო საკუთრებაში და რომლებიც აუცილებელია მსჯავრდებულისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის:

1. იმ პირთა საცხოვრებელი სახლი, სამეურნეო ნაგებობით ან მისი ნაწილი, რომელთა ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა, თუ მსჯავრდებული და მისი ოჯახი მუდმივად ცხოვრობენ ამ სახლში.

2. ერთადერთი ძროხა, ხოლო ძროხის უქონლობის შემთხვევაში ერთადერთი დეკეული იმ პირებისა, რომელთა ძირითადი საქმიანობა არის სოფლის მეურნეობა; ერთადერთი თხა, ცხვარი ან ღორი იმ მეურნეობებისა, რომლებსაც არა ჰყავთ არც ძროხა, არც დეკეული. ამის გარდა კოლმეურნეთა ცხვრები, თხები და ღორები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით საკოლმეურნეო კომლისათვის დაწესებული ნორმის ფარგლებში და აგრეთვე შინაური ფრინველი.

3. საქონლის საკვები (თუ საქონელი არ ექვემდებარება კონფისკაციას), რომელიც საკმარისი იქნება ახალი საკვების დამზადებამდე ან საქონლის საძოვრად გარეკვამდე.

4. თესლი საკმარისი მორიგი თესვისათვის იმ პირთათვის, რომელთა ძირითად საქმიანობას სოფლის მეურნეობა შეადგენს.

5. ბინის მოწყობილობის, ავეჯეულისა და ტანსაცმლის საგნები, რომლებიც აუცილებელია მსჯავრდებულისა და მის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის:

ა) ტანსაცმელი თვითეული პირისათვის: ერთი საზაფხულო ან საშემოდგომო პალტო, ერთი ზამთრის პალტო ან ქურქი, ერთი ზამთრის კოსტიუმი (ქალებისათვის ორი ზამთრის კაბა), ერთი საზაფხულო კოსტიუმი (ქალებისათვის ორი საზაფხულო კაბა), თვითეული სეზონისათვის თითო თავსამკაული. გარდა ამისა ქალებისათვის ორი საზაფხულო თავსაფარი და ერთი თბილი თავსაფარი (ან თავშალი), სხვა ტანსაცმელი და თავსამკაული, რომელიც დიდი ხნის ხმარებაში იყო და არ წარმოადგენს ღირებულებას;

ბ) ფეხსაცმელი, საცვლები, საწოლის ნივთები, სამზარეულო და სასადილო ჭურჭლეული, რომლებიც ხმარებაშია (იმ საგნების გამოკლებით, რომლებიც ძვირფასი მასალისაგან არის გაკეთებული, აგრეთვე საგნებისა, რომელთაც მხატვრული ღირებულება აქვთ);

გ) ავეჯი — თითო საწოლი და თითო სკამი თვითეული პირისათვის, ერთი მაგიდა, ერთი კარადა და ერთი სკივრი ოჯახისათვის;

დ) ყველა საბავშვო ნივთი.

6. კვების პროდუქტები, რაც აუცილებელია მსჯავრდებულისა და მისი ოჯახისათვის ახალი მოსავლის მიღებამდე, თუ მსჯავრდებულის ძირითადი საქმიანობა სოფლის მეურნეობაა, სხვა შემთხვევებში კი — კვების პროდუქტები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ფული საერთო თანხით, რომელიც მსჯავრდებულის თვიურ ხელფასს უდრის, მაგრამ არა ნაკლებ ასი მანეთისა.

7. სათბობი, რომელიც აუცილებელია საჭმლის მომზადებისა და ოჯახის საცხოვრებელი შენობის გასათბობად სეზონის განმავლობაში.

8. ინვენტარი (მათ შორის ხელსაწყოები და წიგნები), რაც აუცილებელია მსჯავრდებულის პროფესიული მეცადინეობის გასაგრძელებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მსჯავრდებულს სასამართლოს განაჩენით ჩამორთმეული აქვს სათანადო საქმიანობის უფლება ან, როდესაც ინვენტარი მის მიერ გამოყენებული იყო უკანონო რეწვისათვის.

9. კომლის (საკოლმეურნეო ან ერთპიროვნული) საერთო ქონებიდან მსჯავრებულის წილის კონფისკაციის შემთხვევაში წილის ოდენობა განისაზღვრება მას შემდეგ, რაც ამ ქონებიდან გამოირიცხება საცხოვრებელი სახლი, რომელშიაც ცხოვრობენ კომლის წევრები, სამეურნეო ნაგებობა, თესლი, რაც აუცილებელია მორიგი თესვისათვის, ერთი ძროხა, თუ ასეთი არ არის, ერთი დეკეული, საკოლმეურნეო კომლში აგრეთვე ცხვრები, თხები, ღორები და შინაური ფრინველი საკოლმეურნეო არტელის წესდებით დაწესებული ნორმის ნახევრის ფარგლებში და საკვები, რომელიც აუცილებელია დარჩენილი საქონლისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

## განყოფილება მეორე

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 51 „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. მ. ე. თოფურიძის მოხსენება საქართველოს სსრ პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულებამ „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ დადებითი ზეგავლენა მოახდინა იმ პირებზე, რომლებიც წინათ არ ეწეოდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. ბრძანებულების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში მარტო ქ. თბილისში სამუშაოდ მოეწყო 192 კაცი. მშრომელთა დეპუტატების რაიონულმა და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს პარაზიტული ელემენტების გამოსავლინებლად, რის შედეგადაც 163 კაცის მიმართ, რომლებიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწეოდნენ, გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება მათი გასახლების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ამისა მშრომელთა დეპუტატების რიგი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის აღნიშნული ბრძანებულების განხორციელებისათვის.

შემოწმებით დადგენილია, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი და მათი მილიციის განყოფილება ნაკლებ ყურადღებას უთმობს იმ პირთა გამოვლინებას, რომლებიც არაშრომით შემოსავლით ცხოვრობენ და გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან. მათ ხშირ შემთხვევაში აღრიცხვაზეც კი არ აჰყავთ ასეთი პირები. ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარების საქმეში ნაკლებადაა ჩაბმული ფართო საზოგადოებრიობა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არადამაკმაყოფილებელია მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი, პროფილაქტიკური მუშაობა.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი გასახლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას მთელი ყურადღებით არ სწავლობს ამ საკითხთან დაკავშირებულ სათანადო მასალებს და გასახლებულ პირთა განცხადებებს, რაც იწვევს გასახლების შესახებ არასწორი გადაწყვეტილებების გამოტანას.

მაგალითად, ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1960 წლის 26 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება ფ. ხ. ანტონოვის, როგორც პარაზიტული ელემენტის, ქალაქიდან გასახლების შესახებ, მაშინ როდესაც ანტონოვი 1951 წლიდან 1960 წლის 8 ივლისამდე მუშაობდა სხვადასხვა ორგანიზაციებში, ივლისის თვეში იგი სამუშაოდან გათავისუფლებულ იქნა შტატის შემცირების გამო. აღსანიშნავია, რომ იგი არც ცუდ საქციელში იყო შემჩნეული და სამუშაოზე მოეწყო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

გასახლების ადგილებზე ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი სრული პასუხისმგებლობით არ ეკიდება ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების გატარების საქმეს და სხვადასხვა უსაფუძვლო მოტივებით უარს ამბობს გასახლებულთა შრომით გამოყენებაზე და უკანვე აბრუნებს მათ. მაგალითად, ჭიათურა-საჩხერის გზის მშენებლობის უფროსმა ამხ. შ. გალდავაძემ შრომის უუნარობის მოტივით სამუშაოდან გაათავისუფლა ორი კაცი, თუმცა საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ ისინი შრომისუნარიანად იყვნენ ცნობილი, ხოლო „საქშახტმშენის“ სოფელ აბანოს უბნის დოლომიტის კარიერის უფროსმა ამხ. ა. ჯაფარიძემ რამდენიმე კაცს უარი უთხრა სამუშაოდ მიღებაზე საერთო საცხოვრებლის უქონლობის გამო.

გასახლების ადგილებზე მილიციის ორგანოებს სათანადო მეთვალყურეობის ქვეშ არ ჰყავთ გასახლებული პირები, რის გამოც არის ამ ადგილებიდან მათი გაქცევის შემთხვევები.

მაგალითად, ქ. ჭიათურაში გასახლებულ 44 კაციდან გაიქცა 15 კაცი. ანალოგიურ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ზუგდიდის რაიონშიც.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მიიღონ გადამჭრელი ზომები აღნიშნული ბრძანებულების ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის, რისთვისაც:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი პარაზიტული ელემენტების გამოვლინებისა და აღრიცხვისათვის, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან ქუჩის კომიტეტები, სახლმმართველობებთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის ხელშემწყობი კომისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მილიციის ორგანოები, შექმნან საზოგადოებრივი აზრი იმ პირების მიმართ, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და უზრუნველყონ მათი შრომითი მოწყობა;

ბ) განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლონ და შეამოწმონ გასასახლებელ პირთა მიმართ წარმომდგენელი მასალები და შემდგომში არ დაუშვან მათ მიმართ ბრძანებულების არასწორი შეფარდება;

გ) ფართოდ განუმარტონ მოსახლეობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების საზოგადოებრივი მნიშვნელობა;

დ) ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების გასახლების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1960 წლის 3 ოქტომბრის დებულებით ამ ბრძანებულების შეფარდების წესის თაობაზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ამხ. გ. მ. მარუაშვილი) წინადადება მისცეს ჯანმრთელობის დაცვის შესაბამის დაწესებულებებს, რათა ისინი მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდონ იმ პირთა შრომისუნარიანობის განსაზღვრის საქმეს, რომელთა გასახლების საკითხიცაა დასმული.

3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ (ამხ. გ. ი. ჩოგოვაძე), საქართველოს სსრ მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებმა (ამხ. ამხ. ს. ს. ლორთქიფანიძე, შ. ი. ჭანუყვაძე) დაავალონ წარმოება-დაწესებულებებისა და ობიექტების ხელმძღვანელებს, გასახლებულ პირებს შეუქმნან საჭირო სამუშაო პირობები და არ დაუშვან უსაფუძვლოდ მათი უკან დაბრუნება.

4. დაევალოს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს (ამხ. ი. ი. ღარიბაშვილი) გააძლიეროს მილიციის ორგანოების მუშაობა ამ კატეგორიის პირთა გამოვლინების საქმეში და უზრუნველყოს გასახლების ადგილებში გასახლებულთა სათანადო მეთვალყურეობა.

5. საქართველოს სსრ პროკურატურამ (ამხ. მ. ე. თოფურიძე) გააძლიეროს ზედამხედველობა და კონტროლი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების ზუსტად განხორციელებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 52 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად გამოყენებულ იქნას საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებით, იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რომლებიც შეტანილია მასში 1958 წლის 31 დეკემბრის ბრძანებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 იანვარი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 53 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დოკუმენტაციის ფორმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების ჩასატარებლად გამოყენებულ იქნას არჩევნების დოკუმენტაციის ის ფორმები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 17 იანვრის დადგენილებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 იანვარი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 54 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებისათვის გა-

მოყენებულ იქნას საარჩევნო ბიულეტენების ნიმუშები, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 30 იანვრის ბრძანებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 იანვარი.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 55 საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კომისიების მრგვალი ბეჭდებისა და ხმის მიცემის საარჩევნო ყუთების ნიმუშის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მერვე მოწვევის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიებს ისარგებლონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1958 წლის არჩევნების ნიმუშის საუბნო საარჩევნო კომისიების მრგვალი ბეჭდებითა და ხმის მიცემის საარჩევნო ყუთებით, ხოლო ამომრჩეველთა მცირე რიცხვის საარჩევნო უბნებში — შემცირებული ზომის საარჩევნო ყუთებით.

2. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების საარჩევნო კომისიებმა და ამ საბჭოების არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიებმა ისარგებლონ სათანადო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ბეჭდებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 26 იანვარი.

## განყოფილება მესამე

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 26 იანვრის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლის“** მედლებით 308 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისიდან | 15 |
| ქ. ქუთაისიდან | 9 |
| ქ. ჭიათურიდან | 50 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასპინძის რაიონიდან . . . . . . . 23
ახალციხის „ . . . . . . . . . 5
ბოგდანოვკის „ . . . . . . . . . 15
გორის „ . . . . . . . . . 14
დმანისის „ . . . . . . . . . 19
ზუგდიდის „ . . . . . . . . . 29
თელავის „ . . . . . . . . . 3
კასპის „ . . . . . . . . . 9
ლანჩხუთის „ . . . . . . . . . 4
მახარაძის „ . . . . . . . . . 24
მცხეთის „ . . . . . . . . . 2
ორჯონიკიძის „ . . . . . . . . . 20
სამტრედიის „ . . . . . . . . . 27
ჩოხატაურის „ . . . . . . . . . 11
ცხაკაიის „ . . . . . . . . . 12
წალკის „ . . . . . . . . 17